

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
შპს ზუბე

ფინანსურ ანგარიშგება

2022 დასრულებული წლისათვის
რაც მოიცავს პერიოდს
01.I.2022 დან ~ 31.XII.2022 მდე

თანხები ფინანსურ ანგარიშგებაში შეფასებული და
წარდგენილია

საქართველოს ეროვნულ ვალუტაში

ფინანსური ანგარიშგება შედგენილია

მცირე და საშუალო საწარმოების

ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის შესაბამისად.

თბილისი,

ვაჟა-ფშაველას 20

2024 წ. აპრილი

შპს ზუბე (ინდივიდუალური)
2022 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლის
სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2021 1 ლარი	2022 1 ლარი
ამონაგები	4	3 426 068	4 995 719
სხვა შემოსავალი	5	32 604	0
არასაოპერაციო შემოსავალი	-	5 263	8 182
გამოყენებული ნედლეული და მასალები	-	-1 951 939	-2 862 588
თანამშრომელთა ხელფასები და სხვა	-	-404 876	-627 419
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	-	-40 714	-39 138
ძირითადი საშუალებების გაუფასურება	-	0	0
სხვა ხარჯები	6	-645 571	-840 737
ფინანსური დანახარჯები	-	-10 416	-4 966
მოგება დაბეგვრამდე	-	410 420	629 052
მოგების გადასახადის ხარჯი	7	0	0
მიმდინარე წლის მოგება	-	410 420	629 052


საწარმოს დირექტორი
ბასილ ჩიქოვანი



შპს ზუბე (ინდივიდუალური)
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრისათვის

შენიშვნა	2020 1 ლარი	2021 1 ლარი	2022 1 ლარი
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები	-	10 649	96 594
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	18 166	12 459
წინასწარ გადახდილი გადასახადი	-	210 620	148 594
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	9	17 978	29 771
		257 413	287 417
გრძელვადიანი აქტივები			
ინვესტიციები შვილობილ საწარმოებში	10	0	0
ძირითადი საშუალებები	11	176 170	162 657
არამატერიალური აქტივები	12	1 250	1 063
გადავადებული საგადასახადო აქტივი	-	0	0
		177 420	163 720
სულ აქტივები	-	434 832	451 137
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	13	6 843	32 677
მოკლევადიანი სესხები	14	68 515	14 600
გადასახდელი პროცენტი	-	0	0
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება	-	0	101 306
დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები	-	0	9
ფინანსური იჯარის ვალდებულებები	-	0	0
		75 358	47 286
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ბანკის სესხი	-	0	0
მომუშავეთა გრძელვადიანი გასამრჯელოები	-	0	0
ფინანსური იჯარის ვალდებულებები	-	0	0
		0	0
სულ ვალდებულებები	-	75 358	47 286
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	15	0	0
გაუნაწილებელი მოგება	-	359 474	403 851
		359 474	403 851
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		434 832	451 137

საწარმოს დირექტორი
ბესიკ ჩიქოვანი



შპს ზუბე (ინდივიდუალური)

2022 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლის
ფულადი ნაკადების ანგარიშგება


	მუნიშვნა	2021 1 ლარი	2022 1 ლარი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
პერიოდის მოგება	-	410 420	629 053
ცვეთის ხარჯები	-	40 714	39 138
საპროცენტო ხარჯები	-	10 416	4 966
გასაცემი ხელფასების ზრდა	-	9 -	9
გადახდილი გადასახადები ზრდა	-	62 026	249 900
მომწოდებელის ვალდებულების ზრდა	-	25 834	15 555
დებიტორების დავალიანების ზრდა	-	5 707 -	15 084
საქონლის ზრდა	-	11 793 -	25 930
სხვა განაცემები	-	118 572 -	185 461
საბანკო მომსახურების ხარჯი	-	-	-
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	-	424 760	712 129
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალების შეძენა	-	27 014 -	32 764
ძირითადი საშუალების გაყიდვა	-	-	-
ინვესტირება შვილობილ საწარმოში	-	-	-
მიღებული დივიდენდი	-	-	-
მიღებული პროცენტები	-	-	-
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	-	27 014 -	32 764
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
საწესდებო კაპიტალის შემოტანა	-	-	-
საწესდებო კაპიტალის გატანა	-	-	-
შემოსულობები სესხებიდან	-	-	65 000
ნასესხები სახსრების გადახდა	-	53 915 -	45 852
პროცენტის გადახდა	-	10 416 -	4 966
გაცემული დივიდენდები	-	247 471 -	707 028
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	-	311 801 -	692 846
ფულადი სახსრების ეკვივალენტები წლის დასაწყისი	-	10 649	96 594
ფულადი სახსრების ეკვივალენტები წლის ბოლოსთვის	-	96 594	83 113
საწარმოს დირექტორი			
ბესიკ ჩიქოვანი			



შპს ზუბე (ინდივიდუალური)
2022 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლის
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

	შენიშვნა	საწესებო კაპიტალი 1 ლარი	აკუმ. მოგება 1 ლარი	სულ 1 ლარი
კაპიტალი 2020 წ. 31 დეკემბრით	-	-	359 474	359 474
პერიოდის მოგება/ზარალი	-		410 420	
პერიოდის დივიდენდები	-		247 471	
პერიოდის რეზერვების მოძრაობა	-		118 572	
პერიოდში დამფუძნებლის შემონატანი	-		-	
კაპიტალი 2021 წ. 31 დეკემბრით	-	-	403 851	403 851
პერიოდის მოგება/ზარალი	-		629 053	
პერიოდის დივიდენდები	-		707 028	
პერიოდის რეზერვების მოძრაობა	-		185 461	
პერიოდში დამფუძნებლის შემონატანი	-		-	
კაპიტალი 2022 წ. 31 დეკემბრით	-	-	140 416	140 416

საწარმოს დირექტორი
ბესიკ ჩიქოვანი



შპს ზუბე (ინდივიდუალური)

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები

2022 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ზუბე შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში.

საქმიანობის ძირითადი ადგილი არის თბილისი ვაჟა-ფშაველას 20

მისი ძირითადი საქმიანობაა სარესტორნო მომსახურება მასთან დაკავშირებული სხვა საქმიანობები.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

სამუშაო ვალუტა

საწარმოს სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი, რადგან ის წარმოადგენს იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტას, სადაც საწარმო ეწევა საქმიანობას.

თავდაპირველი აღიარება

საწარმომ უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციებს თავდაპირველი აღიარებისას ასახავს სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ იყენებს უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსს, ოპერაციის თარიღისათვის.

წარდგენა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდების ბოლოს

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, საწარმო:

(ა) უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები გადაიყვანს საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით;

(ბ) არაფულადი მუხლები, რომლებიც ასახულია უცხოური ვალუტით პირვანდელი ღირებულებით, გადაიყვანს ოპერაციის თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით;

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

დარიცხვის მეთოდი

ფინანსური ანგარიშგება, ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ინფორმაციის გარდა, მოამზადებულია დარიცხვის მეთოდის საფუძველზე.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგების მომზადებულია საწარმოს საქმიანობის გაგრძელების უნარის გათვალისწინებით როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ანგარიშგება.

საწარმო მიიჩნევა ფუნქციონირებად საწარმოდ რადგან მის ხელმძღვანელობას განზრახული არა აქვს საწარმოს ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა და არც იძულებული არ არის, ასე რომ მოიქცეს.

საწარმოს ფუნქციონირებადობის შეფასებისას ხელმძღვანელობა გამოიყენა ყველა ხელმისაწვდომი ინფორმაცია მომავლის შესახებ, რომელიც საანგარიშგებო თარიღიდან სულ მცირე თორმეტ კალენდარულ თვეს მოიცავს, თუმცა შეზღუდული არ არის ამ პერიოდით.

ანგარიშგების წარდგენის სიხშირე

ფინანსური ანგარიშგების სრულ პაკეტს (მათ შორის, შესადარისი ინფორმაცია) საწარმო ადგენს წლიურ საფუძველზე და წელი ემთხვევა კალენდარულ წელს.

2022 წლის ანგარიშგებები მომზადებულია სტანდარტულ პერიოდზე და მოიცავს ზუსტად კალენდარულ წელს - 12 თვეს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

შეფასება თავდაპირველი აღიარებისას

თავდაპირველი აღიარებისას აქტივები და ვალდებულებები შეფასებულია პირვანდელი ღირებულებით, თუ წინამდებარე სტანდარტით სხვა საფუძვლის გამოყენება არ მოითხოვება,

შემდგომი შეფასება

შემდგომი შეფასებებსა საწარმო ძირითად ფინანსურ აქტივებსა და ძირითად ფინანსურ ვალდებულებებს აღიარებს ამორტიზებული ღირებულებით, გაუფასურების ზარალის გამოკლებით,

არაფინანსური აქტივების შეფასდება შემდეგი საფუძვლით:

(ა) ძირითად საშუალებებს აფასებს დაგროვილი ცვეთითა და გაუფასურებით შემცირებულ თვითღირებულებასა და ანაზღაურებად ღირებულებას შორის უმცირესი თანხით (თვითღირებულების მოდელი),

(ბ) მარაგს აფასებს თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით; და

ფინანსური ვალდებულებების გარდა, ყველა სხვა ვალდებულების უმეტესობა აღიარდება იმ თანხის ოდენობის საუკეთესო შეფასებით, რომელიც საჭიროა ვალდებულების დასაფარად საანგარიშგებო თარიღისათვის.

ამონაგების აღიარება

შემოსავლებიდან ამონაგები აღიარდება მომსახურების მიწოდების დასრულებისთანავე.

მოგების გადასახადი

მიმდინარე პერიოდში გადასახადელი გადასახადები ეფუძნება მიმდინარე წლის მანძილზე განაწილებული მოგების ოდენობას - ესტონური მოდელის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, ნაშთის შემცირებადი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

იჯარით არებული შენობა-ნაგებობების რემონტები
მანქანა-დანადგარები და მოწყობილობა
ავეჯი და სხვა ინვენტარი

15 პროცენტი

20 პროცენტი

20 პროცენტი

არამატერიალურ აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს იდენტიფიცირებად არამატერიალურ ქონებას, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება არ ხდება.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს: მის შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველანაირ დანახარჯს, ასევე ისეთ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

მარაგის შეძენის დანახარჯები მოიცავს: მისი შეძენის (ნასყიდობის) ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (იმ გადასახადების გარდა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა საწარმოს უნდა დაუბრუნონ შემდგომში), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებსა და სხვა დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან. სავაჭრო დათმობა, სხვადასხვა სახის ფასდათმობები და სხვა ანალოგიური მუხლები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებაში.

ჩამოწერის თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური ინსტრუმენტები

საწარმომ ყველა ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტის ადრიცხვისთვის იყენებს ამორტიზებული ღირებულების მოდელის

საწარმო მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიარებს ფინანსურ აქტივს, ან ფინანსურ ვალდებულებას, თუ საწარმო ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

როდესაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება პირველად აღიარდება, საწარმო აფასებს მას გარიგების ფასით.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საწარმო ფინანსური ინსტრუმენტებს აფასებს იმგვარად, როგორც განსაზღვრულია ქვემოთ,

(ა) სავალლო ინსტრუმენტები უნდა შეფასდეს ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. სავალლო ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, უნდა შეფასდეს გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით,

3. პირობითი აქტივები და პირობითი ვალდებულებები

საწარმოს არანაირი პირობითი აქტივი და ვალდებულება არ აქვს ასახული ფინანსურ მდგომარეობის ანგარიშში,

ამონაგები

საწარმო ამონაგები შეფასებულია მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან უნდა გამოიქვითოს საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდასა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

4. ამონაგები

სარესტორნო მომსახურებები
სხვა შემოსავლები

	2021	2022
	1 ლარი	1 ლარი
სარესტორნო მომსახურებები	3 426 068	4 995 719
სხვა შემოსავლები	0	0
	3 426 068	4 995 719

5. სხვა შემოსავალი

საწარმოში სხვა შემოსავლები ესაა ინვენტარის რეალიზაციით მიღებული არასტანდარტული ერთჯერადი შემოსავლები

6. სხვა ხარჯები

შემდეგი ხარჯები აღიარებულ იქნა სხვა ხარჯად:

	2021	2022
	1 ლარი	1 ლარი
საშუამავლო მომსახურება	393 681	460 382
საიჯარო ქირა	85 132	101 448
საოფისე ხარჯები	16 662	13 073
კომუნიკაციის ხარჯები	111	110
კომუნალური ხარჯები	113 357	133 518
დაცვის მომსახურება	-	6 363
რემონტის დანახარჯები	-	739
საწვავის ხარჯები (საერთო-ადმინისტრაციული)	5 961	12 677
მივლინების ხარჯი	-	21 495
ქონების გადასახადის ხარჯი	-	1 317
საბანკო ხარჯები	27 306	65 173
სხვა საერთო-ადმინ. ხარჯები, რომლებიც გამოიქვითება	3 361	24 443
	645 571	840 737

7. მოგების გადასახადის ხარჯი

პერიოდის განმავლობაში მოგების გადასახადის ხარჯი და ვალდებულება არ წარმოიშვება, რადგან საწარმოზე ვრცელდება ესტონური მოდელი და მოგების განაწილება არ მომხდარა.

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

	2020	2021	2022
	1 ლარი	1 ლარი	1 ლარი
სავაჭრო დებიტორები	18 166	12 459	10 188
საქვეანგარიშო პირის თანხები	-	-	17 355
	18 166	12 459	27 543

9. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

	2020	2021	2022
	1 ლარი	1 ლარი	1 ლარი
ნედლეული და მასალები	17 978	29 771	55 700
სხვა მარაგები	-	-	-
	17 978	29 771	55 700

10. მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციები

კომპანია არ ფლობს წილს რომელიმე შვილობილ საწარმოში, ასევე არ მონაწილეობს ერთობლივ საქმიანობაში და ამხანაგობაში

11. ძირითადი საშუალებები

	2021 1 ლარი	2022 1 ლარი
საიჯარო ფატიის კეთილმოწყობა - საწყისი	639	543
შემოსვლა/გასვლა	-	-
წლიური ცვეთა	96	81
ცვეთის გასვლა	-	-
საბალანსო ღირებულება	-	543
მანქანა დანადგარები - საწყისი	313	250
შემოსვლა/გასვლა	-	6 183
წლიური ცვეთა	63	1 287
ცვეთის გასვლა	-	-
საბალანსო ღირებულება	-	250
ოფისის აღჭურვილობა - საწყისი	5 359	6 158
შემოსვლა/გასვლა	2 339	-
წლიური ცვეთა	1 540	1 232
ცვეთის გასვლა	-	-
საბალანსო ღირებულება	-	6 158
ავეჯი და ინვენტარი - საწყისი	82 853	86 022
შემოსვლა/გასვლა	24 675	13 450
წლიური ცვეთა	21 506	19 895
ცვეთის გასვლა	-	-
საბალანსო ღირებულება	-	86 022
მცირეფასიანი ინვენტარი, ჭურჭელი და სხვა	87 007	69 684
შემოსვლა/გასვლა	-	13 131
წლიური ცვეთა	17 323	16 485
ცვეთის გასვლა	-	-
საბალანსო ღირებულება	69 684	66 330

12. არამატერიალური აქტივები

საწარმოს არამატერიალური აქტივები შედგება პროგრამული უზრუნველყოფისაგან, რომელთაც გააჩნია განუმჯდვრელი მომხმარების პერიოდი და მათზე დარიცხულია 15% ცვეთა.

13. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები და მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

როგორც საწყისი ასევე საბოლოო სავაჭრო ვალდებულებები არის მხოლოდ საანგარიშგებო ვალუტაში ნომინირებული.

	2020 1 ლარი	2021 1 ლარი	2022 1 ლარი
სავაჭრო კრედიტორი	6 843	30 312	48 232
საქვეანგარიშო პირის თანხები	-	2 365	-
	6 843	32 677	48 232

ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულებები

კომპანიას ჩვეულებრივი იჯარით აღებული აქვს რესტორნის შენობა და სასაწყობე ფართი, ამ იჯარის საშუალო ვადა ერთი წელია და ამავე ვადაში გათვალისწინებულია ფიქსირებული საიჯარო გადასახდელების გადახდა.

14. მიღებული მოკლევადიანი სესხები

კომპანიას აღებული აქვს ერთი მოკლევადიანი სესხი ბანკიდან, გადახდის პრაქტიკული ვადა არ აღემატება ანგარიშგების თარიღის შემდგომ 12 თვეს,

საბანკო სესხები არ გულისხმავს რაიმე სახის ქონების გირავნობას ან თავდებობას,

სესხების გადახდა ხდება ანუიტეტის პრინციპით და ძირი და საპროცენტო თანხა იფარება ერთ თანაბარ გადახდაში დათქმული პროცენტის პირობით,

15. სააქციო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ნაშთი შედგება სრულად ანაზღაურებული წილისაგან.

13. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მაკორექტირებელი და არა-მაკორექტირებელი მოვლენები

არანაირი მაკორექტირებელი და არამაკორექტირებელი მოვლენები არ გამოვლენილა 2022 წლის დასრულების შემდგომ.

15. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

პარნიორებმა და კომპანიის დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2024 წლის 11 აპრილს.

საწარმოს დირექტორი
ბესიკ ჩიქოვანი

